თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 14

ქ. თელავი 2019 წლის 11 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**

კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა**

მამუკელაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევანი ბერძენაშვილი,** მოქალაქეები - **ნოდარ მამუკელაშვილი, დარეჯან მამუკელაშვილი, მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებ მოქალაქე ნოდარ მამუკელაშვილის განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს: დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1** თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებ მოქალაქე ნოდარ მამუკელაშვილის განცხადების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** სთხოვა **ნოდარ მამუკელაშვილს** განემარტა კომისიის წევრებისათვის თავისი მოთხოვნის შინაარსი.

კერძოდ განმცხადებელმა განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ დაჯარიმებულ იქნა უნებართვო მშენებლობისათვის რასაც თვით განმცხადებელი - **ნოდარ მამუკელაშვილი** არ ეთანხმება და საკრებულოსგან ითხოვს მოახდინოს რეაგირება.

ნოდარ მამუკელაშვილი უთითებდა ასევე იმაზე, რომ თავის დროზე მერიაში წარადგინა მშენებლობის პროექტი რაც როგორც თვითონ აღნიშნა, გაყალბებულია და მისი აზრით აღნიშნული მშენებლობა არ საჭიროებდა შეთანხმებას.

გიგა მამუკელაშვილმა განცხადების ავტორს მისცა რეკომენდაცია საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით მიემართა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის და გამოთქვა სურვილი ამ ორგანიზაციასთან შუამდგომლობაში.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ ნოდარ მამუკელაშვილის განცხადებები უსაფუძვლოა და არ შეესაბამება სინამდვილეს. ვინაიდან მან მშენებლობის განზრახვის დროს არ მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას შესათანხმებლად და დაიწყო მშენებლობა რის გამოც იგი დაჯარიმდა.

საკრებულოს წევრებმა განუმარტეს ნოდარ მამუკელაშვილს, რომ მის მიერ დასმული საკითხის განხილვა არ შედიოდა საკრებულოს უფლებამოსილებაში.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია ნოდარ მამუკელაშვილს მიმართოს შესაბამის ორგანოებს დარღვეული უფლებების აღსადგენად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე